



ენერგობაზრის მიმოხილვა

III-IV კვარტალი 2022

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი ენერჯეტიკისა და გარემოს დაცვის პოლიტიკის კვლევითი ცენტრი

კავშირები:

მარიამ წულუკიძე

ხელმძღვანელის მოადგილე



m.tsulukidze@iset.ge

ერეკლე შუბითიძე

მკვლევარი



erekle.shubitidze@iset.ge

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა

- 2022 წლის მესამე კვარტალში ელექტროენერჯის წარმოება 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაიზარდა 11.4%-ით და შემცირდა 3.5%-ით მეოთხე კვარტალში.
- 2022 წლის მესამე კვარტალში ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად გაიზარდა 0.6%-ით და შემცირდა 4.6%-ით მეოთხე კვარტალში.
- წლის მესამე კვარტალში ელექტროენერჯის იმპორტი არსებითად შემცირდა (-95%) და გაიზარდა მეოთხე კვარტალში 70%-ით, ხოლო ექსპორტი წინა წელთან შედარებით გაიზარდა (+160% და 574%).
- 2022 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში წარმოების HHI მაჩვენებელი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდებთან შედარებით.
- მოხმარების HHI მაჩვენებელი წლის მესამე და მეოთხე კვარტალში გაიზარდა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდებთან შედარებით.

ბუნებრივი აირის მიწოდება

- 2021 წელთან შედარებით, 2022 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში ბუნებრივი აირის მიწოდება გაიზარდა (+17.4% და +5.8%).
- არ არის გასაკვირი, რომ ბაზარზე მოწოდებული ბუნებრივი აირის 100% აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან იქნა შემოტანილი, სადაც აზერბაიჯანს ყველაზე დიდი წილი აქვს მთლიან მიწოდებაში.
- 2021 წელთან შედარებით, 2022 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში, ასევე, გაიზარდა ბუნებრივი აირის იმპორტის ფასები.
- ბუნებრივი აირის HHI ინდექსმა საცალო ბაზრისათვის, ორივე კვარტალში მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელს ჩამოსცა და წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაკლებად კონცენტრირებული იყო.
- ბუნებრივი აირის საბითუმო ბაზარი ორივე კვარტალში შენარჩუნდა მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ზღვრის ზემოთ და უფრო კონცენტრირებული იყო, ვიდრე წინა წლის ანალოგიურ პერიოდებში.

ნავთობპროდუქტების მიწოდება

- 2022 წლის მესამე კვარტალში ნავთობპროდუქტების მთლიანი მიწოდება შემცირდა 5.4%-ით და გაიზარდა მეოთხე კვარტალში 6.5%-ით.
- ნავთობის იმპორტის მოცულობა წლის მესამე კვარტალში შემცირდა და მეოთხე კვარტალში გაიზარდა, ხოლო ექსპორტი ორივე კვარტალში გაიზარდა.
- დიზელის იმპორტი წლის მესამე კვარტალში გაიზარდა, ხოლო მეოთხე კვარტალში - შემცირდა, ხოლო ექსპორტი შემცირდა მესამე კვარტალში და გაიზარდა მეოთხეში.
- საქართველოში ნავთობის იმპორტის უმეტესი ნაწილი ორივე კვარტალში შემოვიდა ბულგარეთიდან, რუმინეთიდან და რუსეთიდან.

- დიზელის იმპორტის უდიდესი ნაწილი ორივე კვარტალში შემოვიდა აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, თურქმენეთიდან და რუმინეთიდან.
- გასაკვირი არ არის, რომ ნავთობისა და დიზელის იმპორტის ფასები წლიურად მნიშვნელოვნად გაიზარდა წლის მესამე და მეოთხე კვარტალში.

შემოკლებები


მლნ	- მილიონი
კვტსთ	- კილოვატსაათი
ჰესი	- ჰიდროელექტროსადგური
თესი	- თბოელექტროსადგური
HHI	- ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი
თელმიკო	- თბილისის ელექტრომომწოდებელი კომპანია
ეპ ჯორჯია	- ეპ ჯორჯია მინოდებისთვის
Q1	- პირველი კვარტალი
Q2	- მეორე კვარტალი

წარმოება – მოხმარება – ვაჭრობა

2022 წლის III და IV კვარტალში საქართველოს ელექტროსადგურებმა ჯამში, შესაბამისად, 4,193 მლნ და 3,359 მლნ კვტსთ ელექტროენერჯია გამოიმუშავა (დიაგრამა 1), რაც სრული წარმოების +11.4% და -3.5%-იან ცვლილებას წარმოადგენს წინა წლის იმავე პერიოდთან მიმართებით (2021 წლის III კვარტალში (Q3) სრული წარმოება 3,766 მლნ კვტსთ-ს შეადგენდა, ხოლო IV კვარტალში (Q4) – 3,479 მლნ კვტსთ-ს). 2022 წლის III კვარტალში წარმოების ზრდა განაპირობა თბო (+36.4%), ჰიდროელექტროსადგურების (+10.1%) და ქარის ელექტროსადგურების (+18.5) გამომუშავებული ენერჯის ზრდამ. IV კვარტალში წარმოების კლება დაკავშირებულია ქარის (-0.8%) და ჰიდროელექტროსადგურების (-11.3%) წარმოებული ენერჯის კლებასთან, რამაც გადაფარა თბო ელექტროსადგურების გამომუშავების 23.3%-იანი ზრდა.

2022 წელს ელექტროენერჯის მოხმარება ადგილობრივ ბაზარზე III კვარტალში გაუტოლდა 3,434 მლნ კვტსთ-ს და IV კვარტალში - 3,253 მლნ კვტსთ-ს (2021 წლის III და IV კვარტალთან შედარებით, შესაბამისად, +0.6% და -4.6%) (დიაგრამა 1). ენერჯის საერთო წარმოებამ მოხმარებას III კვარტალში 759 მლნ კვტსთ-ით გადააჭარბა, რაც სრული წარმოების 18.1%-ს შეადგენდა, ხოლო IV კვარტალში წარმოებამ მოხმარებას 106 მლნ კვტსთ-ით გადააჭარბა, რაც სრული წარმოების 3.2%-ს გაუტოლდა. 2021 წლის III კვარტალში სრულმა მოხმარებამ წარმოებას 351 მლნ კვტსთ-ით გადააჭარბა, რაც სრული წარმოების დაახლოებით 9.3%-ს შეადგენდა, IV კვარტალში კი სრულმა წარმოებამ მოხმარებას 69 მლნ კვტსთ-ის გადააჭარბა, რაც სრული წარმოების დაახლოებით 2%-ს შეადგენდა.

დიაგრამა 1 | ელექტროენერჯის მოხმარება და გამომუშავება




წყარო: ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორი (ესკო)


ენერგობაზრის მიმოხილვა | ელექტროენერჯის სექტორი – წარმოება – მოხმარება – ვაჭრობა

2022 წლის როგორც მესამე, ისე მეოთხე კვარტალში წარმოების უდიდესი ნაწილი ჰიდროელექტროსადგურებზე (ჰესი) მოდის. ჰესების წარმოებულმა ელექტროენერჯიამ კვარტლების შესაბამისად შეადგინა 3,949 მლნ კვტსთ (Q3) (სრული წარმოების 93.6%) და 2,392 მლნ კვტსთ (Q4) (სრული წარმოების 70.5%) (დიაგრამა 3), ხოლო თბოელექტროსადგურების (თესი) წარმოებული ელექტროენერჯია გაუტოლდა 244 მლნ კვტსთ-ს (Q3) (სრული წარმოების 5.8%) და 967 მლნ კვტსთ-ს (Q4) (სრული წარმოების 28.8%), (დიაგრამა 4). დარჩენილი ენერჯია კი ქარის ელექტროსადგურებიდან იყო გამომუშავებული და წლის III და IV კვარტალში, შესაბამისად, შეადგინა 23.3 მლნ კვტსთ (Q3) (სრული წარმოების 0.6%) და 22.9 მლნ კვტსთ (Q4) (სრული წარმოების 0.7%) (დიაგრამა 5).


დიაგრამა 2 | ელექტროენერჯის გამომუშავება წყაროების მიხედვით



დიაგრამა 3 | ჰესების გამომუშავება და მათი წილი მთლიან წარმოებაში




დიაგრამა 4 | თესების გამომუშავება და მათი წილი მთლიან წარმოებაში



წყარო: ესკო

დიაგრამა 5 | ქარის სადგურის გამომუშავება და მისი წილი მთლიან წარმოებაში




წყარო: ესკო

ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა შემდეგნაირად გადანაწილდა: ენერგო-პრო/ეპ ჯორჯია (III კვარტალში - 33.3% - 1,144 მლნ კვტსთ და IV კვარტალში - 32.2% - 1,049 მლნ კვტსთ); აფხაზეთი (III კვარტალში - 17.1% - 587 მლნ კვტსთ და IV კვარტალში - 19.7% - 641 მლნ კვტსთ); თელასი/თელმიკო (III კვარტალში - 22.3%-765 მლნ კვტსთ და IV კვარტალში - 21.7% -707 მლნ კვტსთ) და პირდაპირი/უშუალო მომხმარებლები (III კვარტალში - 27.2% - 935 მლნ კვტსთ და IV კვარტალში - 26.2% - 852 მლნ კვტსთ (დიაგრამა 6). III

ენერგობაზრის მიმოხილვა | ელექტროენერჯის სექტორი – წარმოება – მოხმარება – ვაჭრობა

კვარტალში მოთხოვნა აფხაზეთიდან, თელასი/თელმიკოდან და ენერგო პრო ჯორჯია/ეპ ჯორჯიადან შესაბამისად, 1.9%, 4% და 0.7%-ით გაიზარდა, ხოლო პირდაპირი მომხმარებლებიდან, წლიურად 2.9%-ით შემცირდა. IV კვარტალში მოთხოვნა თელასი/თელმიკოდან და ენერგო პრო ჯორჯია/ეპ ჯორჯიადან შესაბამისად, 4.6% და 2.4%-ით გაიზარდა, თუმცა, პირდაპირი მომხმარებლებიდან და აფხაზეთიდან, შესაბამისად, 16.7% და 6.3%-ით შემცირდა.¹

დიაგრამა 6 | ელექტროენერჯის მოხმარება მომხმარებლის ტიპის მიხედვით



წყარო: ესკო


2022 წლის III და IV კვარტალში საქართველოში, შესაბამისად, 0.7 მლნ და 141 მლნ კვტსთ ელექტროენერჯია შემოვიდა იმპორტის სახით (2021 წელს იმპორტირებულ 14 მლნ და 83 მლნ კვტსთ-თან შედარებით), რომლის 80% და 99.7%, შესაბამისად, რუსეთიდან, 20% და 0.2% - აზერბაიჯანიდან, ხოლო 0% და 0.1% - სომხეთიდან შემოვიდა (დიაგრამა 7). იმავე პერიოდში საქართველოდან 605 მლნ და 94 მლნ კვტსთ ელექტროენერჯია გავიდა ექსპორტის სახით (2021 წელს ექსპორტირებულ 233 და 14 მლნ კვტსთ-თან შედარებით), რომლის 91% თურქეთში იყო ექსპორტირებული, 9% - სომხეთში და უმნიშვნელო რაოდენობა აზერბაიჯანსა და რუსეთში III კვარტალში, ხოლო IV კვარტალში - 96,7% თურქეთში და 3.3%

¹ 2021 წლის 1 ივლისიდან ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის ახალი კონცეფციის შემუშავებისა და დამტკიცების შემდეგ, განაწილების/დისტრიბუციისა და საბოლოო მიწოდების ფუნქციები გაიმიჯნა. შედეგად, ბაზარზე მოთამაშეთა სამი განსხვავებული კატეგორია მივიღეთ: განაწილების/დისტრიბუციის ლიცენზიანტები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სადისტრიბუციო საქმიანობაზე და სადისტრიბუციო ქსელში ზიანის ანაზღაურებაზე; უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საყოფაცხოვრებო მოხმარების ელექტროენერჯისა და მცირე საწარმოებისთვის ელექტროენერჯის მიწოდებაზე და საზოგადოებრივი მომსახურების ორგანიზაციები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ელექტროენერჯის მიწოდებაზე საშუალო და მსხვილი საწარმოებისთვის მათ შორის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე. ამჟამად ენერგო-პრო ჯორჯია და თელასი კვლავ აგრძელებენ საკუთარ სადისტრიბუციო საქმიანობას, ხოლო ეპ ჯორჯია მიწოდება და თბილისის ელექტრომომარაგების კომპანია მათ გამოეყვნენ და ითავსებენ როგორც უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლების, ისე საზოგადოებრივი მომსახურების ორგანიზაციების როლს.

ენერგობაზრის მიმოხილვა | ელექტროენერჯის სექტორი – წარმოება – მოხმარება – ვაჭრობა


- სომხეთში გავიდა (დიაგრამა 8). 2022 წლის III და IV კვარტლებში ელექტროენერჯის ტრანზიტმა 779 მლნ და 1,249 მლნ კვტსტ შეადგინა, რომლის 97.3% III კვარტალში აზერბაიჯანიდან თურქეთში, ხოლო 2.7% რუსეთიდან თურქეთში გავიდა, ხოლო IV კვარტალში - 88.6% აზერბაიჯანიდან თურქეთში, 5.6% რუსეთიდან თურქეთში, ხოლო 5.8% - სომხეთიდან თურქეთში გავიდა.

დიაგრამა 7 | ელექტროენერჯის იმპორტი



წყარო: ესკო


დიაგრამა 8 | ელექტროენერჯის ექსპორტი



წყარო: ესკო

ელექტროენერჯის იმპორტის საშუალო შეწონილი ფასი წლიური მაჩვენებლით 2022 წლის III და IV კვარტალში, შესაბამისად, 88.4%-ით და 10.7%-ით შემცირდა აშშ დოლარში, ხოლო ლარში - ორივე კვარტალში, შესაბამისად, 89.1%-ით და 20.7%-ით შემცირდა (2021 წელს არსებული 5.53 ლარს ან 17.35 თეთრიდან კვტსთ-ზე (III კვარტალში) და 4.91 ლარს ან 15.42 თეთრიდან კვტსთ-ზე (IV კვარტალში), 2022 წელს, შესაბამისად, 0.64 ლარს ან 1.89 თეთრამდე კვტსთ-ზე და 4.39 ლარს ან 12.22 თეთრამდე კვტსთ-ზე). ელექტროენერჯის ექსპორტის საშუალო წლიური შეწონილი ფასი 2022 წლის III კვარტალში 110.5%-ით გაიზარდა აშშ დოლარში და 93.3%-ით ლარში (2021 წლის III კვარტალში არსებული 3.94 ლარს ან 12.45 თეთრიდან კვტსთ-ზე 8.30 ლარს ან 24.07 თეთრამდე კვტსთ-ზე 2022 წლისთვის) (დიაგრამა 10). ხოლო 2022 წლის IV კვარტალში ექსპორტის ფასი აშშ დოლარში გაიზარდა 28.4%-ით, ხოლო ლარში - 16.6%-ით (2021 წლის IV კვარტალში 6.52 ლარს ან 20.45 თეთრიდან კვტსთ-ზე 2022 წლისთვის 8.37 ლარს ან 23.85 თეთრამდე).


დიაგრამა 9 | ელექტროენერჯის იმპორტის და ექსპორტის ფასები



წყარო: ესკო

რუსეთიდან იმპორტის ფასები წლის III კვარტალში სტაბილურად 0.64 ლარს ან 1.89 თეთრი იყო კვტსთ-ზე, მაშინ როცა აზერბაიჯანიდან იმპორტირებულ ელექტროენერჯიაზე ფასი 0.65 ლარს ან 1.84 თეთრს შეადგენდა კვტსთ-ზე. IV კვარტალში რუსეთის იმპორტის ფასი 4.40 ლარს ან 12.24 თეთრს გაუტოლდა კვტსთ-ზე, აზერბაიჯანის ფასი - 1.69 ლარს ან 4.66 თეთრს კვტსთ-ზე (დიაგრამა 10).


დიაგრამა 10 | ელექტროენერჯის იმპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით



წყარო: ესკო

III კვარტალში ექსპორტის ფასები აზერბაიჯანსა და თურქეთში შეადგენდა, შესაბამისად, 9.74 ლ და 27.74 თეთრს და 8.46 ლ და 24.63 თეთრს, ხოლო რუსეთსა და სომხეთში, შესაბამისად, 3.50 ლ და 10.34 თეთრს და 4 ლ და 11.82 თეთრს შეადგენდა. მაშინ, როცა IV კვარტალში ექსპორტის ფასები სომხეთსა და თურქეთში, შესაბამისად, 7.50 ლ და 21.38 თეთრს და 8.40 ლ და 23.94 თეთრს შეადგენდა (დიაგრამა 11).

დიაგრამა 11 | ელექტროენერჯის ექსპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით




წყარო: ესკო

ელექტროენერჯის ბაზრის კონცენტრაცია


ბაზრის კონცენტრაციის ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი (HHI) გამოიყენება იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იყო ბაზრის წარმოებისა და მოხმარების სეგმენტები წლის განმავლობაში. 2022 წლის III და IV კვარტალში საქართველოს ელექტროენერჯის წარმოების ბაზარი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ასცდა, რომელთა HHI მაჩვენებელი, შესაბამისად, 3,490-ს და 3,066-ს უტოლდებოდა (დიაგრამა 12). III კვარტლის მაჩვენებელი უფრო დაბალი იყო 2021 წლის იმავე კვარტლის მაჩვენებელთან შედარებით და 4,105-ს უტოლდებოდა, IV კვარტლის დონეც უფრო დაბალი იყო, 2021 წლის იმავე კვარტლის მაჩვენებელთან (3,307) შედარებით. სამომხმარებლო სეგმენტში იმავე პერიოდის განმავლობაში, HHI მოხმარების ინდექსების მაჩვენებლები გაიზარდა, თუმცა მაინც შეინარჩუნა პოზიცია მაღალი კონცენტრირებული და კონცენტრირებული ბაზრების ზღვრებს შორის (2021 წლის მაჩვენებლებთან შედარებით - 1,970 და 1,812) წლის III კვარტალში 1,977-იანი HHI მაჩვენებლით და წლის IV კვარტალში 1,973 HHI მაჩვენებლით (დიაგრამა 13).

დიაგრამა 12 | ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ელექტროენერჯის გამომუშავებისთვის



წყარო: ესკო

დიაგრამა 13 | ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ელექტროენერჯის მოხმარებისთვის




წყარო: ესკო

ბუნებრივი აირის მიწოდება: მოხმარება = ვაჭრობა

2022 წლის III და IV კვარტალში ბუნებრივი აირის მიწოდებამ, შესაბამისად, შეადგინა 333 და 674 მლნ კუბური მეტრი (17.4% და 5.8%-იანი ზრდა 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში დაფიქსირებულ 284 და 637 მლნ კუბურ მეტრთან შედარებით), რომელთაგან 50 მლნ და 184 მლნ კუბური მეტრი (სრული მიწოდების 14.9% და 27.3%) თბოელექტროსადგურების მიერ იყო მოხმარებული (2021 წლის ანალოგიურ პერიოდში მოხმარებული 37 მლნ და 133 მლნ კუბურ მეტრთან შედარებით - 33.7%-იანი და 38.4%-იანი ზრდა). დარჩენილი ნაწილი კი ადგილობრივ ბაზარზე იყო მიწოდებული (დიაგრამა 14).


დიაგრამა 14 | ბუნებრივი აირის სრული მიწოდება/წარმოება და მოხმარება



წყარო: საქსტატი

2022 წლის იმავე პერიოდში იმპორტირებული იყო ბუნებრივი აირის 99.1% (Q3) და 99.5% (Q4), ხოლო დარჩენილი ნაწილი ადგილობრივად იყო წარმოებული (დიაგრამა 15).


დიაგრამა 15 | ადგილობრივად წარმოებული და იმპორტირებული გაზის წილი



წყარო: საქსტატი

2022 წლის III და IV კვარტალში საქართველოში, შესაბამისად, 335 და 682 მლნ კუბური მეტრი ბუნებრივი აირი შემოვიდა იმპორტის სახით (18% და 6.3%-იანი ზრდა 2021 წლის იმავე პერიოდებში იმპორტირებულ 284 მლნ და 642 მლნ კუბურ მეტრთან შედარებით). იმპორტირებული ბუნებრივი აირის 98.4% (Q3) და 83% (Q4) აზერბაიჯანიდან იყო მოწოდებული, ხოლო დარჩენილი 1.6% (Q3) და 17% (Q4) - რუსეთიდან (დიაგრამა 16).

დიაგრამა 16 | ბუნებრივი აირის იმპორტი ქვეყნების მიხედვით




წყარო: საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი)

ბუნებრივი აირის იმპორტის საშუალო შეწონილმა ფასმა აშშ დოლარში წლიური მაჩვენებლებით წლის III კვარტალში 22.5%-ით მოიმატა, ხოლო IV კვარტალში - 7.6%-ით. ლარში ფასი კი წლის III და IV კვარტალში, შესაბამისად, 11% გაიზარდა და 4.9%-ით დაიკლო (2021 წელს არსებული 9.94 ლარი ან 31.16 თეთრიდან ერთ კუბურ მეტრზე (Q3) და 13.32 ლარი ან 41.75 თეთრიდან ერთ კუბურ მეტრზე (Q4) 12.18 ლარი ან

ენერგობაზრის მიმოხილვა | ბუნებრივი აირის სექტორი – სრული წარმოება და მოხმარება

34.59 თეთრამდე ერთ კუბურ მეტრზე (Q3) და 14.33 ლ - ან 39.70 თეთრამდე ერთ კუბურ მეტრზე (Q4) 2022 წელს) (დიაგრამა 17).


დიაგრამა 17 | ბუნებრივი აირის იმპორტის ფასები



წყარო: სემეკი

2022 წლის III კვარტალში რუსეთიდან იმპორტირებული ბუნებრივი აირის ფასი ერთ კუბურ მეტრზე 17 ლ - 47.16 თეთრს შეადგენდა, ხოლო აზერბაიჯანიდან იმპორტირებული ბუნებრივი აირის ფასი - 12.10 ლ - 34.39 თეთრს ერთ კუბურ მეტრზე, IV კვარტალში კი რუსეთიდან იმპორტირებული ბუნებრივი აირის ფასი ერთ კუბურ მეტრზე 18.48 ლ - 50.46 თეთრს შეადგენდა, ხოლო აზერბაიჯანიდან იმპორტირებული ბუნებრივი აირის ფასი - 13.48 ლ - 37.49 თეთრს ერთ კუბურ მეტრზე (დიაგრამა 18).

დიაგრამა 18 | ბუნებრივი აირის იმპორტი




წყარო: სემეკი

ბუნებრივი აირის ბაზრის კონცენტრაცია


ბაზრის კონცენტრაციის ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი (HHI) გამოიყენება იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იყო ბუნებრივი აირის საცალო და საბითუმო ბაზრები წლის განმავლობაში. 2022 წლის III და IV კვარტალში საცალო ბაზარი მნიშვნელოვნად კონცენტრირებულ საბაზრო ზღვარს ჩამოსცდა და HHI მაჩვენებელი, შესაბამისად, 1,959 და 2,426-ს გაუტოლდა (დიაგრამა 19). III და IV კვარტლის მაჩვენებლები 2021 წლის III და IV კვარტლის მაჩვენებლებთან შედარებით, რომელიც 2,341 და 2,471-ს შეადგენდა, უფრო დაბალი იყო. ბაზრის საბითუმო სექტორში, იმავე პერიოდის განმავლობაში, ინდექსები მნიშვნელოვნად აღემატებოდა ზღვარს მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრისთვის, 3,195 და 3,579-იანი HHI მაჩვენებლებით, რაც აღემატებოდა 2021 წლის შესაბამისი პერიოდების HHI მაჩვენებლებს (HHI მაჩვენებლები 2021 წლის III და IV კვარტლისთვის 3,129 და 3,245-ს შეადგენდა) (დიაგრამა 20).

დიაგრამა 19 | ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი საცალო ბაზრებისთვის



წყარო: სემეკი

დიაგრამა 20 | ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი საბითუმო ბაზრებისთვის




წყარო: სემეკი

ნავთობპროდუქტების მიწოდება: მოხმარება – ვაჭრობა

2022 წლის III და IV კვარტალში ნავთობპროდუქტების ჯამურმა მიწოდებამ, შესაბამისად, 389.6 და 411.3 ათასი ტონა შეადგინა (-5.4% და +6.5% 2021 წელთან შედარებით) (დიაგრამა 21).


დიაგრამა 21 | ნავთობპროდუქტების ჯამური მიწოდება



წყარო: საქსტატი


2022 წლის ბოლო ორ კვარტალში იმპორტის სახით 152.03 და 189.88 ათასი ტონა ბენზინი (2021 წლის იმავე პერიოდთან შედარებით -7.4% და +21.5%) და 207.98 და 175.21 ათასი ტონა - დიზელი შემოვიდა (2021 წელთან შედარებით, შესაბამისად, +8% და -2.4%) (დიაგრამა 22). ამავე პერიოდში ბენზინის ექსპორტმა 13.32 და 5.33 ათასი ტონა შეადგინა (2021 წელს, შესაბამისად, 0.32 და 3.04 ათასი ტონის ექსპორტთან შედარებით), ხოლო დიზელის ექსპორტმა - 7.24 და 13.52 ათასი ტონა (-14.1% და +205.3% 2021 წელთან შედარებით) (დიაგრამა 23).

დიაგრამა 22 | ბენზინისა და დიზელის იმპორტი



წყარო: საქსტატი


დიაგრამა 23 | ბენზინისა და დიზელის ექსპორტი



წყარო: საქსტატი

2022 წლის III კვარტალში, ბენზინი საქართველოში თხუთმეტი ქვეყნიდან შემოვიდა. თუმცა, მთლიანი იმპორტის 93.1% სამ ძირითად იმპორტიორ ქვეყანაზე მოდიოდა: რუსეთი (61.2%), რუმინეთი (28%) და ბულგარეთი (3.9%). IV კვარტალში საქართველომ ბენზინი თვრამეტი ქვეყნიდან შემოიტანა. თუმცა, მთლიანი იმპორტის 96% რუსეთიდან (72.5%), რუმინეთიდან (16.5%) და ბულგარეთიდან (7%) შემოვიდა (დიაგრამა 24).


დიაგრამა 24 | ქვეყნების წილი ნავთობის მთლიან იმპორტში



წყარო: საქსტატი

2022 წლის III კვარტალში დიზელის იმპორტი საქართველოში ოცდაცხრამეტი ქვეყნიდან შემოვიდა. თუმცა, მთლიანი იმპორტის 83.3% მოდიოდა ოთხ ძირითად იმპორტიორ ქვეყანაზე: რუსეთი (52.1%), რუმინეთი (15.6%), თურქმენეთი (14.6%) და აზერბაიჯანი (1%). წლის IV კვარტალში საქართველომ დიზელი იმპორტის სახით ჯამში ორმოცი ქვეყნიდან შემოიტანა. თუმცა, 77.9% შემოვიდა რუსეთიდან (60.1%), რუმინეთიდან (9.5%), თურქმენეთიდან (8%) და აზერბაიჯანიდან (0.3%) (დიაგრამა 25).


დიაგრამა 25 | ქვეყნების წილი დიზელის მთლიან იმპორტში



წყარო: საქსტატი

ნავთობის იმპორტის საშუალო შეწონილი ფასები აშშ დოლარში 2022 წლის III და IV კვარტალში წლიური მაჩვენებლით 45.7%-ით და 10.8%-ით გაიზარდა, ხოლო ლარში, შესაბამისად, 32.8%-ით და 1.1%-ით (70 ლარიდან (Q3) და 75 ლარიდან (Q4) ლიტრზე, 2021 წლის III და IV კვარტალში, შესაბამისად, 102 ლარიდან და 83 ლარიდან ლიტრზე 2022 წელს). დიზელის იმპორტის საშუალო შეწონილი ფასები აშშ დოლარში 2022 წლის III და IV კვარტალში წლიური მაჩვენებლით 95.1%-ით და 62.7%-ით გაიზარდა, ხოლო ლარში III და IV კვარტალში - შესაბამისად, 77.1%-ით და 45.4%-ით (63 ლარიდან და 72 ლარიდან ლიტრზე 2021 წლის III და IV კვარტალში, შესაბამისად, 123 ლარიდან და 117 ლარიდან ლიტრზე 2022 წელს) (დიაგრამა 26).


დიაგრამა 26 | ნავთობისა და დიზელის იმპორტის საშუალო შეწონილი ფასი



წყარო: საქსტატი

რაც შეეხება ნავთობის ექსპორტის ფასებს, 2022 წლის III კვარტალში შეწონილი ფასი წლიური მაჩვენებლით აშშ დოლარში 76.7%-ით გაიზარდა, ხოლო ლარში, შესაბამისად, 62%-ით (2021 წლის III კვარტალში 78 ლარი ან 2.44 ლარიდან, 137 ლარი ან 3.96 ლარამდე ლიტრზე 2022 წელს). 2021 წლის IV კვარტალში ბენზინის ექსპორტი არ ყოფილა, ამიტომაც ფასების დინამიკას ვერ შევადგინებთ (2022 წლის IV კვარტალში ფასები იყო 101 ლარი ან 2.81 ლარი). დიზელის ექსპორტის საშუალო შეწონილი ფასი აშშ დოლარში 2022 წლის III და IV კვარტალში წლიური მაჩვენებლით 44.6%-ით და 37.4%-ით გაიზარდა, ხოლო ლარში, შესაბამისად, 31.3%-ით და 22%-ით (2021 წლის III და IV კვარტალში 74 ლარი ან 2.30 ლარიდან (Q3) და 90 ლარი ან 2.82 ლარიდან (Q4) ლიტრზე, 106 ლარი ან 3.02 ლარამდე (Q3) და 124 ლარი ან 3.44 ლარამდე (Q4) ლიტრზე 2022 წელს) (დიაგრამა 27).

დიაგრამა 27 | ნავთობისა და დიზელის ექსპორტის საშუალო შეწონილი ფასი



წყარო: საქსტატი